



ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულო



დადგენილება:დ-87.87212792

თარიღი:06/10/2021

განკარგულება №37

„კავკასიის ბუნების ფონდისგან“ (გერმანიის ჰესენის კანონმდებლობის შესაბამისად დაფუძნებული ფონდი) თუშეთის დაცული ლანდშაფტის მიმდინარე ხარჯების დაფინანსების მიზნით გრანტის მიღებაზე წინასწარი თანხმობის მიცემის თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, მე-100 მუხლის მე-5 და მე-7 პუნქტების შესაბამისად,

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

1. მიეცეს თანხმობა ახმეტის მუნიციპალიტეტის მერს „კავკასიის ბუნების ფონდისგან“ (გერმანიის ჰესენის კანონმდებლობის მიხედვით დაფუძნებული ფონდი) თუშეთის დაცული ლანდშაფტის მიმდინარე ხარჯების საოპერაციო გეგმის (2021-2023 წლების სამოქმედო გეგმა და შესაბამისი ბიუჯეტი) შესაბამისად, დაფინანსების მიზნით მიიღოს გრანტი არაუმეტეს 200 000 (ორასი ათასი) ევროს (ექვივალენტი ლარში) ოდენობით და გააფორმოს სათანადო ხელშეკრულება.
2. განკარგულება გაეგზავნოს ახმეტის მუნიციპალიტეტის მერიას, გამოქვეყნდეს საკრებულოს საინფორმაციო დაფაზე საქართველოს კანონის „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი“ 56-ე მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული წესით და ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე;
3. განკარგულების გასაჩივრება შესაძლებელია გამოქვეყნებიდან 1 (ერთი) თვის ვადაში თელავის რაიონულ სასამართლოში (ქ. თელავი, აღმაშენებლის ქ. N41)

თამარ ყვინიშვილი

ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულო-საკრებულოს
თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

